თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომის

ოქმი №43

ქ. თბილისი 2019 წელი, 29 მარტი, 13:30 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

რევაზ სოხაძე, გიორგი ტყემალაძე, ბექა დავითულიანი, ვახტანგ შაქარიშვილი, დავით უთმელიძე, თევდორე ისაკაძე, დავით უჯმაჯურიძე

სხდომას არ ესწრებოდა: ნიკოლოზ ვაჩეიშვილი (საპატიო), გიორგი გაბაშვილი, გოჩა თევდორაძე

სხდომის თავმჯდომარე: რევაზ სოხაძე

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

გვანცა ნიკოლაიშვილი - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე
ნინო კვეტენაძე - თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელი
საბა ფიფია - გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე
ქეთევან კანდელაკიშვილი - გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი

სხდომას ესწრებოდნენ დაინტერესებული პირები (წარმომადგენელი):

გიორგი ბენდელიანი - პროექტის არქიტექტორი

№	დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი
1.	,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-55 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (**საკრებულოს №12-03190853- 03 26.03.2019**)

2.	ქალაქ თბილისში, სოფ. თხინვალა, ლისზე არსებულ მიწის ნაკვეთზე ს/კ: №72.16.15.560, 72.16.15.281, 72.16.23.879, 72.16.23.878, 72.16.15.589 არსებულ მიწის ნაკვეთზე განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (**საკრებულოს №12-031907020-03 11.03.2019**)
3.	„ქ. თბილისში კრწანისის რაიონში, ნარიმანოვის ქ. 112-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 101.18.01.002.021; 101.18.01.002.020 კვ.მ.) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 აგვისტოს 1258 განკარგულებით დამტკიცებულ განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალების კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (**საკრებულოს №12-031906388-03 04.03.2019**)
4.	ზოგიერთი ფიზიკური და იურიდიული პირისთვის ჯიხურების განთავსების მიზნით, პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით მიწის ნაკვეთების გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე (**საკრებულოს №12-0319070100-03 11.03.2019**)
5.	ქალაქ თბილისში, მიცკევიჩის ქუჩა №6-ის მიმდებარედ არსებული 2 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ:№01.10.14.031.048) პირდაპირი განკარგვის წესით ლეილა ხობელიასთვის (პ/ნ: 01817062041) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე (**საკრებულოს №12-031907098-03 11.03.2019**)
6.	ქალაქ თბილისში, ლესელიძის ქუჩა №4-ის მიმდებარედ არსებული 3 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.18.03.018.062) და ქალაქ თბილისში, ლესელიძის ქუჩა №4-ის მიმდებარედ არსებული 7 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.18.03.039.047) შპს „ბისტროსთვის" (ს/ნ:204393931) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე (**საკრებულოს №12-031907098-03 11.03.2019**)
7.	ქალაქ თბილისში, ჯავის ქუჩა №2-ის მიმდებარედ არსებული 56 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.12.11.050.051) ნიკოლოზ ჭაჭუასთვის (პ/ნ: 01024073552) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე (**საკრებულოს №12-031907210-03 13.03.2019**)
8.	ქალაქ თბილისში, ი.აბაშიძის ქუჩა №21-23-ის მიმდებარედ არსებული 1707 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.14.11.016.020) 95 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „ველლ ჰაუზისთვის" (ს/ნ: 405156799) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე (**საკრებულოს №12-031907210-03 13.03.2019**)

9.	ქალაქ თბილისში, ალეკო გობრონიძის ქუჩა N10-ის მიმდებარედ არსებული 128 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.11.13.002.251) 35 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „სამშობლოსთვის" (ს/ნ: 404984228) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე (**საკრებულოს №12-031907911-03 20.03.2019)**
10.	ქალაქ თბილისში, მელაანის ქუჩა, შესახვევი III, №34ა-ს მიმდებარედ 3 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: № 01.17.08.042.030) პირდაპირი განკარგვის წესით ნაზი დანელიასთვის (პ/ნ: 01023000067) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე (**საკრებულოს №12-0319085143-03 26.03.2019)**
11.	ქალაქ თბილისში, შ.დადიანის ქუჩა №9-ის მიმდებარედ არსებული 5 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.15.05.075.024) შპს „სოლოლაკი 2017-ისთვის" (ს/ნ: 405164806) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე (**საკრებულოს №12-0319085143-03 26.03.2019)**
12.	ქალაქ თბილისში, მუხაძის ქუჩის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: N01.19.17.002.114) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (**საკრებულოს №12-031908645-03 27.03.2019)**
13.	ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, გურამიშვილის ქუჩაზე, ქვანახშირის დასახლებაში, კოტეჯ N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.20.01.126.012.01.501) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (**საკრებულოს №12-0319085147-03 26.03.2019)**
14.	ქალაქ თბილისში, ჭიჭინაძის ქუჩა 112-ში (საკადასტრო კოდი: N101.19.23.009.076) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (**საკრებულოს №12-0319085147-03 26.03.2019)**
15.	ქალაქ თბილისში, ჩუბინაშვილის ქუჩა 130-ში (საკადასტრო კოდი: 101.16.01.018.023.01.504) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (**საკრებულოს №12-0319085147-03 26.03.2019)**
16.	ქალაქ თბილისში, ვაზისუბნის III მიკრორაიონის II კვარტალის კორპუს 17-ში (საკადასტრო კოდი: 101.17.07.006.006.01.020) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (**საკრებულოს №12-0319085147-03 26.03.2019)**

17.	ქალაქი თბილისი, შანდორ პეტეფის ქუჩის ხელმარცხნივ N10, N18ა და N20ა კორპუსებს შორის არსებული 233 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.10.002.317) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ:204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (**საკრებულოს №12-0319085145-03 26.03.2019**)
18.	ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის მე-4 მიკრორაიონის კორპუსი N33-ში (საკადასტრო კოდი N01.14.16.012.012) მდებარე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (**საკრებულოს №12-0319070106-03 11.03.2019**)
19.	ქალაქ თბილისში, ქიზიყის ქუჩა N33-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.24.007.270) მდებარე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (**საკრებულოს №12-0319070106-03 11.03.2019**)
20.	ქალაქ თბილისში, დეკაბრისტების ქუჩა 13-ში (საკადასტრო კოდი: 101.18.04.011.045) მდებარე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (**საკრებულოს №12-0319070106-03 11.03.2019**)
21.	ქალაქ თბილისში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა 144-ში (საკადასტრო კოდი: 101.14.05.003.009.01.056) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (**საკრებულოს №12-0319070106-03 11.03.2019**)
22.	ქალაქ თბილისში, ჭიჭინაძის I შესახვევი 13-ში (საკადასტრო კოდი: 101.19.22.007.013.01.026) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (**საკრებულოს №12-0319070106-03 11.03.2019**)
23.	ქალაქ თბილისი, თემქის დასახლება, კვარტალი XბI-ს მიმდებარედ არსებული 1000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 101.12.02.015.120) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ:204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების შესახებ (**საკრებულოს №11-0319077109-03 18.03.2019**)

24.	ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N01.18.03.033.012; N01.18.03.033.010; N01.18.03.015.016; N01.18.03.015.019; N01.18.03.015.014 და N01.18.03.033.011 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული უძრავი ქონების საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ:204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების შესახებ (**საკრებულოს №12-031908643-03 27.03.2019**)
25.	ქალაქ თბილისში, ვარკეთილი-3-ის დასახლების IV მიკრორაიონის კორპუსი 1416-ში (საკადასტრო კოდი: 101.19.39.002.017.01.017) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (**საკრებულოს №12-03190787-03 19.03.2019**)
26.	ქ. თბილისში, ხუდადოვის ქუჩა 1173, კორპუსი 14-ში (საკადასტრო კოდი: 101.16.09.001.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (**საკრებულოს №12-0318362107-03 31.12.2018; №12-03190787-03 19.03.2019**)
27.	„ქ.თბილისში, ჭავჭავაძის ჩიხი 137-ის მიმდებარედ/ჭავჭავაძის ჩიხი 137-ში მდებარე გარკვეული უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: 101.14.14.005.163) ააიპ - ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი „მწვანე სახლისთვის" (ს/კ: 1205270570) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით გადაცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მთავრობის 2014 წლის 5 მარტის 107.54.295 დადგენილებით განსაზღვრული საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლების თაობაზე (**საკრებულოს №12-0319066167-03 07.03.2019**)
28.	2010 წლის 20 ივლისის იჯარის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით ნაკისრი ვალდებულებების 2015 წლის 26 იანვრიდან 2017 წლის 28 თებერვლამდე შეუსრულებლობისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან ნანული ჭიაურელის (პ/ნ: 01024043431) გათავისუფლების თაობაზე (**საკრებულოს №12-0319066166-03 07.03.2019**)
29.	,,ქ. თბილისში, მიცკევიჩისა და პეკინის ქუჩების გადაკვეთაზე, 2812 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.14.030.054) და ქ. თბილისში, მიცკევიჩის ქუჩა, გამყოფ ზოლზე მდებარე 188 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.14.030.034) შპს „ი.დ.ლ"-ისთვის (ს/კ: 404497399) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 7 ნოემბრის N 424 განკარგულებაში ცვლილების შეტანისა და აღნაგობის პირობების დარღვევის გამო შპს ,,კასს პარკინგი''-სთვის (ს/ნ 404497399) დაკისრებული პირგასამტეხლოს პატიების თაობაზე (**საკრებულოს №12-0319085146-03 26.03.2019**)

30.	„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში, 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის, უძრავი ქონების დათმობისა და სხვა სახის ფულადი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 5 ივლისის №17-66 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (**საკრებულოს №12-03190786- 03 19.03.2019**)
31.	ქალაქ თბილისში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი №1-ის მიმდებარედ არსებული 22 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.14.012.036) პირდაპირი განკარგვის წესით არსენ ასათიანისთვის (პ/ნ: 01017001245) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე (**საკრებულოს №12-0319085142-03 26.03.2019**)
32.	ე.ს. ამხანაგობა „კრწანისი 21“-ს მიმართ გარკვეული ღონისძიებების გატარების შესახებ (**საკრებულოს №12-0319085161-03 26.03.2019**)

კომისიის თავმჯდომარე ბატონი რევაზ სოხაძე მიესალმა კომისიის წევრებს და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ დღის წესრიგი დაამტკიცა.

1. **„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-55 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-03190853- 03 26.03.2019)**

საკითხი წარმოადგინა გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ საბა ფიფიამ. მისი თქმით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის № 17-55 დადგენილების არსებულ რედაქციაში დაკონკრეტებულია ის წინაპირობები, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც დაიშვება ან არ დაიშვება ხის გადარგვა. აღნიშნული წინაპირობები ერთმნიშვნელოვნად შეეხება ხეებს, რომელთა დიამეტრიც აღემატება 25 სმ-ს, თუმცა საქმიანობის პროცესში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის წინაშე წამოჭრილი სირთულეების გამო, რომლებიც პროექტით გათვალისწინებული მუხლის ბუნდოვანებამ გამოიწვია, საჭირო გახდა მასში ცვლილების შეტანა და დაკონკრეტება, რომ წესის 21 1მუხლით გათვალისწინებული გადარგვის წინაპირობები შეეხება მხოლოდ და მხოლოდ დიდტანიან ხეებს. ამასთანავე, გამომდინარე იქიდან, რომ დადგენილების არსებული ჩანაწერი ორაზროვანია და ნათლად არ იკვეთება, რომ 25 სმ ან 25 სმ-ზე ნაკლები

დიამეტრის მქონე ხეების გადარგვის თაობაზე უფლებამოსილი ორგანო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დისკრეციულად იღებს გადაწყვეტილებას, რაც პრაქტიკაში ქმნის გარკვეულ სირთულეებს, მიზანშეწონილია მკაფიოდ ჩამოყალიბდეს დადგენილების შესაბამისი მუხლის რედაქცია და გასწორდეს არსებული ხარვეზი.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საკრებულოს დადგენილების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

2. **ქალაქ თბილისში, სოფ. თხინვალა, ლისზე არსებულ მიწის ნაკვეთზე ს/კ: №72.16.15.560, 72.16.15.281, 72.16.23.879, 72.16.23.878, 72.16.15.589 არსებულ მიწის ნაკვეთზე განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე** (საკრებულოს №12-031907020-03 11.03.2019)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ გვანცა ნიკოლაიშვილმა. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურს 2018 წლის 16 ნოემბერს N01183174130-67 განცხადებით მიმართა დიმიტრი გეგელიამ (პ/ნ 01010008753) და მოითხოვა ქ. თბილისში, სოფ. თხინვალა, ლისზე არსებულ მიწის ნაკვეთზე ს/კ: №72.16.15.560; 72.16.15.281; 72.16.23.879; 72.16.23.878; 72.16.15.589; (საპროექტო ფართობი 9069 კვ.მ-) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცება. საპროექტო ტერიტორიის გამიჯვნა იგეგმება 10 საკადასტრო ერთეულად. ასევე, სატრანსპორტო ქსელისთვის გამოყოფილია ცალკე საკადასტრო ერთეული. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2018 წლის 20 ნოემბრის N01183243653 წერილის თანახმად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების (შემდგომში დადგენილება) მე-8 მუხლის მე-12 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნებიდან, წარმოდგენილი დოკუმენტაცია მოიცავს დაგეგმილი გამწვანების პროექტის შესახებ ზოგად მონაცემებს, რომელზედაც სამსახურს ამ ეტაპზე შენიშვნები არ გააჩნია. ამასთანავე, ინტერაქტიული რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე მწვანე ნარგავები არ ფიქსირდება. ამასთან, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების ეტაპზე უნდა დამუშავდეს გამწვანების დეტალური პროექტი, რომელთან დაკავშირებით, გასათვალისწინებელია, რომ გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური უპირატესობას ანიჭებს ხეების დარგვას ბუჩქებთან და გაზონთან მიმართებით. ამდენად, გასამწვანებელი მცენარეების რაოდენობა უნდა განისაზღვროს შემდეგი პროპორციით: 10-12 კვ. მეტრი 1 ძირი მცირე ზომის ან პირამიდული ვარჯის მქონე ხისთვის (მაგ. ირმის რქა, პირამიდული კვიპაროსი, ნეკერჩხალი (ლეკა) ბურთისებრი ფორმა და სხვა), ხოლო 20-25 კვ. მეტრი დანარჩენი წიწვოვანი და ასევე ფოთლოვანი ხეებისთვის, ხოლო, დასარგავი ხე-მცენარეების სახეობა უნდა აირჩეს, ქ. თბილისის

მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის №05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან. აქვე გაცნობებთ, რომ დადგენილების მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, გაუნაშენიანებელი ტერიტორიის სამშენებლოდ გამოყენების შემთხვევაში განაშენიანების რეგულირების გეგმით გათვალისწინებული უნდა იყოს საპროექტო ტერიტორიის მინიმუმ 20%-ის მწვანე ნარგავების გასაშენებელ სივრცედ გამოყენება. წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტი საჭიროებს დამატებით დაზუსტებას, მოქმედ მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმასთან მიმართებაში, აქედან გამომდინარე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საკითხის გადადებასთან დაკავშირებით.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს „ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში, ლისზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: №72.16.15.560; 72.16.15.281; 72.16.23.879; 72.16.23.878; 72.16.15.589; საპროექტო ფართობი 9069 კვ.მ) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის" დამტკიცების საკითხი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ელექტრონულ გვერდზე www.urban.tbilisi.gov.ge რეგისტრირებული განაცხადი №01183174130-67) გამოთქმული შენიშვნით, გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

3. „ქ. თბილისში კრწანისის რაიონში, ნარიმანოვის ქ. 112-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 101.18.01.002.021; 101.18.01.002.020 კვ.მ.) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 აგვისტოს 1258 განკარგულებით დამტკიცებულ განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალების კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-031906388-03 04.03.2019)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ გვანცა ნიკოლაიშვილმა. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურს 2018 წლის 18 ივლისს N01181993219-67 (N01182751912-67 - 02.10.2018, N0119003550-67 - 03.01.2019, N01190231469-67 - 24.01.2019) განცხადებით მიმართა ზაზა იჩქიტიძემ (პ.ნ 01015007932) „ქ. თბილისში კრწანისის რაიონში, ნარიმანოვის ქ. N12-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ N 01.18.01.002.021; 01.18.01.002.020) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 აგვისტოს N258 განკარგულებით დამტიცებულ განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებაში ცვლილების შეტანის მოთხოვნით. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის

მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6), საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2). ახალი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) და საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5). დადგენილია, რომ „ქ. თბილისში კრწანისის რაიონში, ნარიმანოვის ქ. N12-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ N 01.18.01.002.021; N01.18.01.002.020 კვ.მ.) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 აგვისტოს N258 განკარგულებით საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება. ხოლო, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის N432 განკარგულებით ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, ნარიმანოვის ქ.N12-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე N01.18.002.021; 01.18.01.002.020 საერთო ფართობით 8 858 კვ.მ.) დამტკიცდა განაშენიანების რეგულირების გეგმა. წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით იცვლება განაშენიანების რეგულირების გეგმის არეალი, კერძოდ ემატება მომიჯნავე მიწის ნაკვეთები (საკადასტრო კოდით: N 01.18.01.002.219; N01.18.01.002.218 საერთო ფართობით 1621 კვ.მ.) რომელზეც მოქმედი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5). „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, გაუნაშენიანებელი ტერიტორიის სამშენებლოდ გამოყენების შემთხვევაში განაშენიანების რეგულირების გეგმით გათვალისწინებული უნდა იყოს საპროექტო ტერიტორიის მინიმუმ 20%-ის მწვანე ნარგავების გასაშენებელ სივრცედ გამოყენება, ამასთანავე, საპროექტო ტერიტორია უზრუნველყოფილი უნდა იყოს სათანადო სატრანსპორტო და საინჟინრო ინფრასტრუქტურით. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 აგვისტოს N258 განკარგულებით დამტკიცებულ განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებაში წარმოდგენილი ცვლილებების შეტანა კერძოდ საპროექტო არეალის განსაზღვრა: ქ. თბილისში კრწანისის რაიონში, ნარიმანოვის ქ. N12-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდით: N 01.18.01.002.210; 01.18.01.002.219; 01.18.01.002.218) საერთო ფართობი 10 479 კვ.მ.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს „ქ. თბილისში კრწანისის რაიონში, ნარიმანოვის ქ. N12-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ N 01.18.01.002.021; N01.18.01.002.020 კვ.მ.) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 აგვისტოს N258

განკარგულებით დამტკიცებულ განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებაში ცვლილების შეტანის თაობაზე", დამტკიცების საკითხი (საქმე №16-031906388-03.04.03.2019წ; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ელექტრონულ გვერდზე www.urban.tbilisi.gov.ge რეგისტრირებული განაცხადი N01181993219-67 (N01182751912-67 - 02.10.2018, N0119003550-67 - 03.01.2019, N01190231469-67 -24.01.2019), გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

4. ზოგიერთი ფიზიკური და იურიდიული პირისთვის ჯიხურების განთავსების მიზნით, პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით მიწის ნაკვეთების გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-0319070100-03 11.03.2019)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენლემა ქალბატონმა ნინო კვეტენაძემ. მისი თქმით, წარმოდგენილი საკითხის მიხედვით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის გამოგზავნილ განკარგულების დანართში მითითებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაეცემათ ამავე დანართში მითითებული ქონება 2019 წლის 31 ივლისამდე. წლიურ საიჯარო ღირებულებად განისაზღვრება 2018 წლის 31 მარტამდე მოქმედი საიჯარო ხელშეკრულებებით, რომლებიც ამ სიაში შესულ პირებთან იყო დადებული. აღნიშნული საჭიროებს „ზოგიერთი ფიზიკური და იურიდიული პირისთვის ჯიხურების განთავსების მიზნით, პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით მიწის ნაკვეთების გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 20 თებერვლის N19.178.221 განკარგულებაში ცვლილების შეტანას, რომელშიც ჩაემატება ხელშეკრულების მოქმედების ვადა და საიჯარო საფასური.

კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და დამსწრე წევრთა თანხმობით, დადებითი რეკომენდაცია მისცა აღნიშნული საკითხების განხილვას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

5. ქალაქ თბილისში, მიცკევიჩის ქუჩა №6-ის მიმდებარედ არსებული 2 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ:№01.10.14.031.048) პირდაპირი განკარგვის წესით ლეილა ხობელიასთვის (პ/ნ: 01817062041) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-031907098-03 11.03.2019)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა ქალბატონმა ნინო კვეტენაძემ. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების

მართვის სააგენტოს, ელექტრონული განცხადებით (QN1607080) მიმართა ლეილა ხობელიას (პ/ნ: 01817062041) წარმომადგენელმა რამაზ ხობელიამ (პ/ნ: 62001014678) და მოითხოვა ქალაქ თბილისში, მიცკევიჩის ქუჩა №6-ის მიმდებარედ არსებული 2 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.10.14.031.048) სარგებლობის უფლებით გადაცემა, კიბის უჯრედის ფუნქციონირების მიზნით. განცხადებით წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, აღნიშნული პირის საკუთრებაშია ქალაქ თბილისში, მიცკევიჩის ქუჩა №6-ში მდებარე უძრავი ქონება (ს/კ: № 01.10.14.031.010.01.610). საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს #000576819 სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნით, დაინტერესებაში არსებული 2 კვ.მ. მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, 2019 წლის 28 იანვრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 240 (ორას ორმოცი) ლარით. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა 2019 წლის 28 თებერვლის N19.234.279 განკარგულებით შესაძლებლად მიიჩნევს წარმოდგენილი თხოვნის დაკმაყოფილებას და მიწის ნაკვეთის იჯარის ფორმით დაინტერესებული პირისთვის გადაცემას, 10 (ათი) წლის ვადით, საიჯარო ქირის წლიური საფასურით - 250 (ორას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. საკითხი წარმოდგენილია საკრებულოში თანხმობის მისაღებად.

კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და დამსწრე წევრთა თანხმობით, დადებითი რეკომენდაცია მისცა აღნიშნული საკითხების განხილვას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

6. **ქალაქ თბილისში, ლესელიძის ქუჩა №4-ის მიმდებარედ არსებული 3 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.18.03.018.062) და ქალაქ თბილისში, ლესელიძის ქუჩა №4-ის მიმდებარედ არსებული 7 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.18.03.039.047) შპს „ბისტროსთვის" (ს/ნ:204393931) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე** (საკრებულოს №12-031907098-03 11.03.2019)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა ქალბატონმა ნინო კვეტენაძემ. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ელექტრონული განცხადებით (QN1652028; 24.12.2018.წ) მიმართა შპს „ბისტროს" (ს/ ნ:204393931) დირექტორმა ლევან დავლიანიძემ და მოითხოვა ქალაქ თბილისში, ლესელიძის ქუჩა №4-ის მიმდებარედ არსებული 3 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.18.03.018.062) და ქალაქ თბილისში, ლესელიძის ქუჩა №4-ის მიმდებარედ არსებული 7 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.18.03.039.047) იჯარით გადაცემა, ღია კაფის მოსაწყობად. განცხადებით წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, აღნიშნული კომპანიის საკუთრებაშია ქალაქ თბილისში, ლესელიძის №6/4-ში მდებარე უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: №01.18.03.018.015.01.503). საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის

ეროვნული ბიუროს 2019 წლის 5 თებერვლის #000742319 სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნით, დაინტერესებაში არსებული 3 კვ.მ და 7 კვ.მ. მიწის ნაკვეთების წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, 2019 წლის 4 თებერვლის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 1800 (ათას რვაასი) ლარით. სააგენტოში წარდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 09 ნოემბრის №60-01182292739 წერილის (რეგისტრ. №12-01183131983-61; 09.11.2018 წ.) თანახმად, ღია კაფის მოწყობისას გათვალისწინებული უნდა იყოს ქ. თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 35-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების და 34-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნები. წარმოდგენილია შპს „ბისტროს" (ს/ნ:204393931) დირექტორის ლევან დავლიანიძის 2019 წლის 11 თებერვლის N10/01190423888-61 განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ თანახმაა დაინტერესებაში არსებულ ტერიტორიაზე ღია კაფის მოწყობისას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 9 ნოემბრის №60-01182292739 წერილით გათვალისწინებულ განსაზღვრულ პირობების დაცვაზე. ქალაქ თბილისის მთავრობის2019 წლის 28 თებერვლის N19.233.280 წარმოდგენილი განკარგულების პროექტით მოთხოვნილი 3 კვ.მ და 7 კვ.მ. მიწის ნაკვეთების იჯარის ფორმით გადაცემა ხდება 5 (ხუთი) წლის ვადით, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 1 800 (ათას რვაასი) ლარის ოდენობით. საკითხი წარმოდგენილია საკრებულოში თანხმობის მისაღებად.

კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და დამსწრე წევრთა თანხმობით, დადებითი რეკომენდაცია მისცა აღნიშნული საკითხების განხილვას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

7. **ქალაქ თბილისში, ჯავის ქუჩა №2-ის მიმდებარედ არსებული 56 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.12.11.050.051) ნიკოლოზ ჭაჭუასთვის (პ/ნ: 01024073552) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-031907210-03 13.03.2019)**

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა ქალბატონმა ნინო კვეტენაძემ. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ელექტრონული განცხადებით (QN1637998) მიმართა ნიკოლოზ ჭაჭუამ (პ/ ნ01024073552) და მოითხოვა ქალაქ თბილისში, ჯავის ქუჩა №2-ის მიმდებარედ არსებული 56 კვ.მმიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.12.11.050.051) იჯარით გადაცემა, ღია კაფის მოსაწყობად. განცხადებით წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, აღნიშნული პირის თანასაკუთრებაშია ქალაქ თბილისში, ჯავის ქუჩა №2-ში/ჯავის ქუჩა №2-ის მიმდებარედ მდებარე უძრავი ქონება (საკადასტრო

კოდი: №01.12.11.050.008).საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლოექსპერტიზის ეროვნული ბიუროს #008642018 სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნით,დაინტერესებაში არსებული 56 კვ.მ. მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, 2018 წლის 17 დეკემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 2 688 (ორიათასექვსასოთხმოცდარვა) ლარით. სააგენტოში წარდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 30 ნოემბრის №60-01183343696 წერილის (რეგისტრ. №17-0118337167-61; 03.12.2018წ.) თანახმად, ღია კაფის მოწყობისას გათვალისწინებული უნდა იყოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული„ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 35-ემუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების და 34-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნები.წარმოდგენილია ნიკოლოზ ჭაჭუას ელექტრონული განცხადება QN1659525; 04.02.2019.წ. რომელშიც აღნიშნულია, რომ თანახმა ადაინტერესებაში არსებულ ტერიტორიაზე ღია კაფის მოწყობისას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 30 ნოემბრის №60-01183343696 წერილით (რეგისტრ. №17-0118337167-61; 03.12.2018.წ.) გათვალისწინებულგანსაზღვრულ პირობების დაცვაზე. წარმოდგენილი განკარგულების პროექტით განიხილება მოთხოვნილი 56 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარის ფორმით გადაცემა 5 (ხუთი) წლის ვადით, წლიური საიჯარო ქირის საფასურით- 2 700 (ორი ათას შვიდასი) ლარის ოდენობით.

კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და დამსწრე წევრთა თანხმობით, დადებითი რეკომენდაცია მისცა აღნიშნული საკითხების განხილვას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

8. **ქალაქ თბილისში, ი.აბაშიძის ქუჩა №21-23-ის მიმდებარედ არსებული 1707 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.14.11.016.020) 95 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „ველლ ჰაუზისთვის“ (ს/ნ: 405156799) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-031907210-03 13.03.2019)**

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა ქალბატონმა ნინო კვეტენაძემ. მისი თქმით, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს #000747619 სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნით, დაინტერესებაში არსებული 95 კვ.მ. მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, 2019 წლის 4 თებერვლის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 22 800 (ოცდაორი ათას რვაასი) ლარით. სააგენტოში წარდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 19 დეკემბრის №60-01183533509 წერილის (რეგისტრ. №12-0118354131-61; 20.12.2018წ.) თანახმად, ღია კაფის მოწყობისას გათვალისწინებული უნდა იყოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 35-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების და 34-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნები და ასევე შენობაზე, საძირკვლის არსებობის შემთხვევაში დაცული უნდა იყოს საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ხე-ნარგავების მიმართ 3 მეტრიანი მანძილი. აღნიშნული პოზიცია განმცხადებელს ეცნობა სააგენტოს 2018 წლის 13 დეკემბრის № QN1645705 გადაწყვეტილებით. წარმოდგენილია შპს „ველლ ჰაუზის" (ს/ნ: 405156799) ელექტრონული განცხადება QN1660834 11.02.2019.წ. რომელშიც აღნიშნულია, რომ თანახმაა დაინტერესებაში არსებულ ტერიტორიაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 19 ნოემბრის №60-01183533509 წერილით (რეგისტრ.№12-0118354131-61; 20.12.2018წ.) გათვალისწინებულ განსაზღვრული პირობების დაცვაზე. წარმოდგენილი განკარგულების პროექტით განიხილება მოთხოვნილი 95 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარის ფორმით გადაცემა 2025 წლის 31 აგვისტომდე ვადით, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 22 800 (ოცდაორი ათას რვაასი) ლარის ოდენობით.

კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და დამსწრე წევრთა თანხმობით, დადებითი რეკომენდაცია მისცა აღნიშნული საკითხების განხილვას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

9. **ქალაქ თბილისში, ალეკო გობრონიძის ქუჩა N10-ის მიმდებარედ არსებული 128 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.11.13.002.251) 35 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „სამშობლოსთვის" (ს/ნ: 404984228) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-031907911-03 20.03.2019)**

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა ქალბატონმა ნინო კვეტენაძემ. მისი თქმით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, ელექტრონული განცხადებით (QN655760) მიმართა შპს „სამშობლოს" (ს/ნ: 404984228) დირექტორმა და ითხოვა ქალაქ თბილისში, ალეკო გობრონიძის ქუჩა N10-ის მიმდებარედ არსებული 128 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.11.13.002.251) 35 კვ.მ. მიწის ნაკვეთის კომპანიისთვის იჯარით გადაცემა, ღია კაფეს მოსაწყობად. განცხადებით წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, კომპანია საკუთრების უფლებით ფლობს ქალაქ თბილისში, ალეკო გობრონიძის ქუჩა N10-ში მდებარე ფართებს (ს/კ: №01.11.13.002.238.01.502; №01.11.13.002.238.01.503; №01.11.13.002.238.01.504; №01.11.13.002.238.01.505; №01.11.13.002.238.01.506). სააგენტოში წარმოდგენილია ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 6 თებერვლის №60-01190371956 წერილობითი პოზიცია (რეგისტრ. №12-01190372150-61) ღია კაფის მოწყობის საკითხთან დაკავშირებით. სამსახურმა შესაძლებლად მიიჩნია ღია კაფეს მოწყობის მიზნით მიწის ნაკვეთის იჯარით განკარგვა, იმ პირობით, თუ დაცული იქნება ქ. თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 35-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების მოთხოვნები. აღნიშნული პოზიცია განმცხადებელს ეცნობა სააგენტოს 04.03.19წ. QN1302761MS შეტყობინებით და 06.03.19წ. #61-01190653889 წერილით. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 25.02.19წ. #001277919 სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნით, დაინტერესებაში არსებული 35 კვ.მ. მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, 2018 წლის 25 თებერვლის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 2940 (ორი ათას ცხრაას ორმოცი) ლარით. განკარგულების პროექტით განიხილება მიწის ნაკვეთის იჯარის ფორმით გადაცემა 5 წლის ვადით, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 3000 (სამი ათასი) ლარის ოდენობით.

კომისიამ იმსჯელა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით და კომისიის დამსწრე წევრთა უმრავლესობის თანხმობით მიეცა დადებითი რეკომენდაცია - „ქალაქ თბილისში, ალეკო გობრონიძის ქუჩა N10-ის მიმდებარედ არსებული 128 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.11.13.002.251) 35 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „სამშობლოსთვის" (ს/ კ: 404984228) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ" საკითხის საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

10. ქალაქ თბილისში, მელაანის ქუჩა, შესახვევი III, №34ა-ს მიმდებარედ 3 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: № 01.17.08.042.030) პირდაპირი განკარგვის წესით ნაზი დანელიასთვის (პ/ნ: 01023000067) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-0319085143-03 26.03.2019)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა ქალბატონმა ნინო კვეტენაძემ. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 6 დეკემბრის №45.17.894 განკარგულება არ აღსრულდა, შესაბამისად, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადება და ახალი წლიური საიჯარო ქირის განსაზღვრა. წარმოდგენილია საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2019 წლის 28 იანვრის #000509919 სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნა, რომლითაც დაინტერესებაში არსებული 3 კვ.მ. მიწის ნაკვეთის 2019 წლის 28 იანვრის მდგომარეობით, წლიური

საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, საორიენტაციოდ განისაზღვრა 360 (სამას სამოცი) ლარით. შესაბამისად, მიზანშეწონილია განისაზღვროს ახალი საიჯარო ქირის წლიური საფასური. სააგენტოში წარდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 3 ოქტომბრის №3583504 გადაწყვეტილების (განცხადების AR1544413) თანახმად, დაინტერესებაში არსებულ ტერიტორიაზე უკვე მოწყობილია კიბის უჯრედი, შესაბამისად სამსახურს შესაძლებლად მიაჩნია გასცეს დადებითი ქალაქგეგმარებითი დასკვნა ქალაქ თბილისში, მელაანის ქუჩა, შესახვევი III, №34ა-ს მიმდებარედ 3 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: № 01.17.08.042.030) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით განკარგვასთან დაკავშირებით. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს #000509919 სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნით, დაინტერესებაში არსებული 3 კვ.მ. მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, 2019 წლის 28 იანვრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 360 (სამას სამოცი) ლარით. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა შესაძლებლად მიიჩნევს წარმოდგენილი თხოვნის დაკმაყოფილებას და მიწის ნაკვეთის იჯარის ფორმით დაინტერესებული პირისთვის გადაცემას, 10 (ათი) წლის ვადით, საიჯარო ქირის წლიური საფასურით - 360 (სამას სამოცი) ლარის ოდენობით.

საკითხი განხილულ იქნა კომისიის სხდომაზე და მიეცა დადებითი რეკომენდაცია.

11. **ქალაქ თბილისში, შ.დადიანის ქუჩა №9-ის მიმდებარედ არსებული 5 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.15.05.075.024) შპს „სოლოლაკი 2017-ისთვის“ (ს/ნ: 405164806) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-0319085143-03 26.03.2019)**

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა ქალბატონმა ნინო კვეტენაძემ. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ელექტრონული განცხადებებით (QN1647821; 03.12.2018.წ; QN1664406; 27.02.2019.წ.) მიმართა შპს „სოლოლაკი 2017-ის“ (ს/ნ: 405164806) დირექტორმა და მოითხოვა ქალაქ თბილისში, შ.დადიანის ქუჩა №9-ის მიმდებარედ არსებული 5 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.15.05.075.024) იჯარით გადაცემა, ღია კაფის მოსაწყობად. განცხადებით წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, აღნიშნული იურიდიული პირი იჯარით ფლობს ქალაქ თბილისში, შ.დადიანის ქუჩა №9-ის მიმდებარედ არსებულ უძრავ ქონებას (საკადასტრო კოდი: №01.15.05.075.002.01.505) 2019 წლის 1 ნოემბრამდე. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს #000575419 სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნით, დაინტერესებაში არსებული 5 კვ.მ. მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, 2019 წლის 28 იანვრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 600 (ექვსასი) ლარით. ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 25 თებერვლის №60-01190561830 წერილით (რეგისტრ. №17-01190562657-61; 25.02.2019.წ.) სააგენტოში წარდგენილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს 2019 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილებით (დოკუმენტი №4385240), ღია კაფის მოწყობის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება. წარმოდგენილი განკარგულების პროექტით განიხილება მოთხოვნილი 5 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარის ფორმით გადაცემა 2019 წლის 1 ნოემბრამდე ვადით, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 600 (ექვსასი) ლარის ოდენობით.

საკითხი განხილულ იქნა კომისიის სხდომაზე და მიეცა დადებითი რეკომენდაცია

12. **ქალაქ თბილისში, მუხაძის ქუჩის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: N01.19.17.002.114) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-031908645-03 27.03.2019)**

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა ქალბატონმა ნინო კვეტენაძემ. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას შუამდგომლობის წერილებით მიმართა სამგორის რაიონის გამგეობამ და ითხოვა მუხაძის ქუჩის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: №01.19.17.002.114) მდებარე უძრავი ქონების იმ პირთათვის საკუთრებაში გადაცემა, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში (2005-2010 წლებიდან) ფლობენ და სარგებლობენ უძრავი ქონებით. სამგორის რაიონის გამგეობის წერილების გათვალისწინებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა 2019 წლის 20 მარტის №19.306.429 განკარგულების შესაბამისად, მიზანშეწონილად მიიჩნევს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ფართის საერთო რაოდენობა 981,79 კვ.მ) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთ) ლარად პრივატიზებას 22 პირზე (ოჯახზე). შესაბამისად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენილია ამ განკარგულების დანართი №1-ით წარმოდგენილ ნუსხაში გათვალისწინებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზება ამავე ნუსხაში მითითებულ პირთათვის, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთ) ლარად და მათთან გასაფორმებელი შესაბამისი ხელშეკრულების პროექტი ამავე განკარგულების დანართი N2-ის შესაბამისად.

კომისიამ განიხილა წარმოდგენილი საკითხი და კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა თანხმობით მიიღო გადაწყვეტილება, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი განხილულ იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

13. **ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, გურამიშვილის ქუჩაზე, ქვანახშირის დასახლებაში, კოტეჯ N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.20.01.126.012.01.501)**

მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-0319085147-03 26.03.2019)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა ქალბატონმა ნინო კვეტენაძემ.

კომისიამ იმსჯელა, "ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, გურამიშვილის ქუჩაზე, ქვანახშირის დასახლებაში, კოტეჯ N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.20.01.126.012.01.501) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 13 მარტის №19.272.364 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: "ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, გურამიშვილის ქუჩაზე, ქვანახშირის დასახლებაში, კოტეჯ N5-ში, მდებარე ბინა „ბ" ფართით 54.67 კვ.მ (მიწის (უძრავი ქონების) (საკადასტრო კოდი: N01.20.01.126.012.01.501) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებაზე, მოქალაქე დალი ზურაბიშვილისთვის (პ/ნ 01011028958) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად. 2009 წლის 21 ოქტომბერს შპს „ჟოკეი კლუბსა" და ვენერა ალიშევას შორის გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც ვენერა ალიშევამ (მყიდველი) შეისყიდა N01.10.16.004.100, N01.10.16.004.098, N01.10.16.004.097 და N01.10.16.004.099 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები, ჯამში 11 000 კვ. მ (ნასყიდობის ღირებულება - 1 188 320 აშშ დოლარი).

საკითხი განხილულ იქნა კომისიის სხდომაზე და მიეცა დადებითი რეკომენდაცია.

14. **ქალაქ თბილისში, ჭიჭინაძის ქუჩა 112-ში (საკადასტრო კოდი: N101.19.23.009.076) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-0319085147-03 26.03.2019)**

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა ქალბატონმა ნინო კვეტენაძემ.

კომისიამ იმსჯელა, "ქალაქ თბილისში, ჭიჭინაძის ქუჩა N12-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.23.009.076) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 13 მარტის №19.275.353 განკარგულების დანართი 1-ით წარმოდგენილ ნუსხაში გათვალისწინებული უძრავი ქონების, ამავე ნუსხაში მითითებულ პირთათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ლარად) პრივატიზებაზე, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი 2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

საკითხი განხილულ იქნა კომისიის სხდომაზე და მიეცა დადებითი რეკომენდაცია

15. **ქალაქ თბილისში, ჩუბინაშვილის ქუჩა 130-ში (საკადასტრო კოდი: 101.16.01.018.023.01.504) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-0319085147-03 26.03.2019)**

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა ქალბატონმა ნინო კვეტენაძემ.

კომისიამ იმსჯელა, "ქალაქ თბილისში, ჩუბინაშვილის ქუჩა N30-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.01.018.023.01.504) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 13 მარტის №19.271.365 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: "ქალაქ თბილისში, ჩუბინაშვილის ქუჩა N30-ში, I სართულზე მდებარე ფართის 25.52 კვ.მ (მიწის (უძრავი ქონების) (საკადასტრო კოდი: N01.16.01.018.023.01.504) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებაზე, მოქალაქე ნორა ცოცხალაშვილისთვის (პ/ნ 01030038592) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

საკითხი განხილულ იქნა კომისიის სხდომაზე და მიეცა დადებითი რეკომენდაცია.

16. **ქალაქ თბილისში, ვაზისუბნის III მიკრორაიონის II კვარტალის კორპუს 17-ში (საკადასტრო კოდი: 101.17.07.006.006.01.020) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-0319085147-03 26.03.2019)**

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენლემა ქალბატონმა ნინო კვეტენაძემ.

კომისიამ იმსჯელა, "ქალაქ თბილისში, ვაზისუბნის III მიკრორაიონის II კვარტალის კორპუს N7- ში (საკადასტრო კოდი: N01.17.07.006.006.01.020) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 13 მარტის №19.260.385 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: "ქალაქ თბილისში, ვაზისუბნის III მიკრორაიონის II კვარტალის კორპუს N7-ში მდებარე ბინა N20, ლიტ. „ა" ფართით 60 კვ.მ (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: N01.17.07.006.006.01.020) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებაზე, მოქალაქე ჟენიკ ავდოიანისთვის (პ/ნ 01030001879) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

საკითხი განხილულ იქნა კომისიის სხდომაზე და მიეცა დადებითი რეკომენდაცია.

17. ქალაქი თბილისი, შანდორ პეტეფის ქუჩის ხელმარცხნივ N10, N18ა და N20ა კორპუსებს შორის არსებული 233 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.10.002.317) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ:204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-0319085145-03 26.03.2019)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა ქალბატონმა ნინო კვეტენაძემ. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წერილებით მიმართა სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის მდივანმა, დეკანოზმა მიქაელ ბოტკოველმა და მოითხოვა ქალაქ თბილისში, შანდორ პეტეფის ქუჩის ხელმარცხნივ N10, N18ა და N20ა კორპუსებს შორის არსებული 233 კვ.მ და 613 კვ.მ მიწის ნაკვეთების სსიპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის საკუთრებაში გადაცემა, შემდგომში ეკლესიის დამხმარე ნაგებობის მშენებლობის მიზნით. მიწის ნაკვეთის, სსიპ - საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიისთვის გადაცემასთან დაკავშირებით, სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მიერ დადებითი რეკომენდაცია გაიცა მხოლოდ 233 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.17.10.002.317). რაც შეეხება მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარებას, 2018 წლის 14 დეკემბრის №67-01183483735 წერილით, მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებლად მიიჩნევს მიწის ნაკვეთის განკარგვას დამოუკიდებელი სამშენებლო განვითარების გარეშე. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის გადაწყვეტილებით (2019 წლის 20 მარტის №19.320.411 განკარგულება) ქალაქ თბილისში, შანდორ პეტეფის ქუჩის ხელმარცხნივ N10, N18ა და N20ა კორპუსებს შორის არსებული 233 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.10.002.317) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სსიპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის პრივატიზების საკითხი და ხელშეკრულების პირობები წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში თანხმობის მიღების მიზნით. საპრივატიზებო პირობების თანახმად გადაცემულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.17.10.002.317) სამშენებლო განვითარება განხორციელდება მხოლოდ მომიჯნავე საკადასტრო ერთეულთან გაერთიანების შემთხვევაში, ხოლო უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურად განისაზღვრა სიმბოლური ფასი - 1 (ერთი) ლარის ოდენობით, რომლის გადახდა უნდა განხორციელდეს შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

კომისიამ განიხილა წარმოდგენილი საკითხი და კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა თანხმობით მიიღო გადაწყვეტილება, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი განხილულ იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

18. **ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის მე-4 მიკრორაიონის კორპუსი N33-ში (საკადასტრო კოდი N01.14.16.012.012) მდებარე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-0319070106-03 11.03.2019)**

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა ქალბატონმა ნინო კვეტენაძემ. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2018 წლის 22 ნოემბრის N30-01183263910 და 2019 წლის 18 იანვრის N30-01190184 წერილებით შუამდგომლობით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის გამგეობამ ქ. თბილისში, ნუცუბიძის მე-4 მიკრო/რაიონის, კორპუს N33-ში (საკადასტრო კოდი N01.14.16.012.012) მდებარე უძრავი ქონების იმ პირთათვის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით. შსს-ს ინფორმაციით 1998-2000 წლებიდან მუდმივად ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე. აღნიშნული პირების (6 პირს (6 ოჯახს) გადაეცემა 6 ერთეული ფართი საერთო რაოდენობით 731.11 კვ.მ) დაკმაყოფილების მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა მიზანშეწონილად მიიჩნევს უძრავი ქონების სიმბოლურ თანხად - 1 (ერთ) ლარად გადაცემას დაინტერესებულ პირთათვის.

კომისიამ განიხილა წარმოდგენილი საკითხი და კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა თანხმობით მიიღო გადაწყვეტილება, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი განხილულ იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

19. **ქალაქ თბილისში, ქიზიყის ქუჩა N33-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.24.007.270) მდებარე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-0319070106-03 11.03.2019)**

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა ქალბატონმა ნინო კვეტენაძემ. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში 2018 წლის 31 ოქტომბრის N37-01183041494 და 2019 წლის 18 იანვრის N37-01190182973 წერილებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგეობამ იშუამდგომლა ქალაქ თბილისში, ქიზიყის ქუჩა N33-ში (საკადასტრო კოდი N01.19.24.007.270) მდებარე უძრავი ქონების იმ პირთათვის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით. მეზობლების ხელმოწერების დადასტურებით 2003 წლიდან მუდმივად ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე. აღნიშნული პირების (5 პირს (5 ოჯახს) გადაეცემა 5 ერთეული ფართი საერთო რაოდენობით 291.67 კვ.მ) დაკმაყოფილების მიზნით, ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის მთავრობა მიზანშეწონილად მიიჩნევს უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად - 1 (ერთ) ლარად დაინტერესებულ პირთათვის გადაცემას.

კომისიამ განიხილა წარმოდგენილი საკითხი და კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა თანხმობით მიიღო გადაწყვეტილება, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი განხილულ იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

20. **ქალაქ თბილისში, დეკაბრისტების ქუჩა 13-ში (საკადასტრო კოდი: 101.18.04.011.045) მდებარე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-0319070106-03 11.03.2019)**

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა ქალბატონმა ნინო კვეტენაძემ. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2018 წლის 09 თებერვლის N39-01180404019, 2018 წლის 12 მარტის N39-01180712999, 2018 წლის 19 ივლისის N39- 0118200340, 2019 წლის 09 იანვრის N39-01190092302 და 2019 წლის 28 იანვრის N39-01190284039 წერილებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგეობამ დააყენა შუამდგომლობა ქ. თბილისში, დეკაბრისტების ქუჩა N3-ში (საკადასტრო კოდი 01.18.04.011.045) მდებარე უძრავი ქონების იმ პირთათვის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით.შსს-ს ინფორმაციით 1990-იანი წლებიდან მუდმივად ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე. აღნიშნული პირების (4 პირს (4 ოჯახს) გადაეცემა 5 ერთეული ფართი საერთო რაოდენობით 315.24 კვ.მ) დაკმაყოფილების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა მიზანშეწონილად მიიჩნევს უძრავი ქონების სიმბოლურ თანხად - 1 (ერთ) ლარად გადაცემას დაინტერესებულ პირთათვის და საკითხი წარმოდგენილია საკრებულოში თანხმობის მისაღებად.

კომისიამ განიხილა წარმოდგენილი საკითხი და კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა თანხმობით მიიღო გადაწყვეტილება, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი განხილულ იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

21. **ქალაქ თბილისში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა 144-ში (საკადასტრო კოდი: 101.14.05.003.009.01.056) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-0319070106-03 11.03.2019)**

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა ქალბატონმა ნინო კვეტენაძემ. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების მართვის სააგენტოს შუამდგომლობით მიმართა

ვაკის რაიონის გამგეობამ დარიკო კოპალიანისთვის ქალაქ თბილისში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N44-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.05.003.009.01.056) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე 1 ლარად გადაცემაზე. ვაკის რაიონის გამგეობის ინფორმაციით, დარიკო კოპალიანი აღნიშნულ მისამართზე ცხოვრობს 2000 წლიდან. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა 2019 წლის 20 თებერვლის მთავრობის N19.172.232 განკარგულებით მიზანშეწონილად მიიჩნევს ქალაქ თბილისში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N44-ში მე-5 სართულზე მდებარე უძრავი ქონების 75,44 კვ.მ ფართის ბინა N56-ის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებას და საკითხი წარმოდგენილია საკრებულოში თანხმობის მისაღებად.

კომისიამ განიხილა წარმოდგენილი საკითხი და კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა თანხმობით მიიღო გადაწყვეტილება, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი განხილულ იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

22. ქალაქ თბილისში, ჭიჭინაძის I შესახვევი 13-ში (საკადასტრო კოდი: 101.19.22.007.013.01.026) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-0319070106-03 11.03.2019)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა ქალბატონმა ნინო კვეტენაძემ. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების მართვის სააგენტოს შუამდგომლობით მიმართა სამგორის რაიონის გამგეობამ იზოლდა მელუასთვის ქალაქ თბილისში, ჭიჭინაძის I შესახვევი N3-ში (საკადასტრო კოდი N01.19.22.007.013.01.026) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით 1 ლარად გადაცემაზე. სამგორის რაიონის გამგეობის ინფორმაციით, იზოლდა მელუა აღნიშნულ მისამართზე ცხოვრობს 2002 წლიდან. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა 2019 წლის 20 თებერვლის მთავრობის N19.174.230 განკარგულებით მიზანშეწონილად მიიჩნევს ქალაქ თბილისში, ჭიჭინაძის I შესახვევი N3-ში მე-3 სართულზე მდებარე უძრავი ქონების 19.65 კვ.მ ფართის ბინა N26-ის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებას და საკითხი წარმოდგენილია საკრებულოში თანხმობის მისაღებად.

კომისიამ განიხილა წარმოდგენილი საკითხი და კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა თანხმობით მიიღო გადაწყვეტილება, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი განხილულ იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

23. ქალაქ თბილისი, თემქის დასახლება, კვარტალი XბI-ს მიმდებარედ არსებული 1000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 101.12.02.015.120) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ:204395537) პირდაპირი განკარგვის

ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების შესახებ (საკრებულოს №11-0319077109-03 18.03.2019)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა ქალბატონმა ნინო კვეტენაძემ. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წერილებით მიმართა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მდივანმა, დეკანოზმა მიქაელ ბოტკოველმა და მოითხოვა ქალაქ თბილისში, თემქის დასახლების XბI კვარტალის მიმდებარედ არსებული 1000 კვ.მ მიწის ნაკვეთის სსიპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის საკუთებაში გადაცემა, შემდგომში ეკლესიის მშენებლობის მიზნით. მიწის ნაკვეთის, სსიპ - საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიისთვის გადაცემასთან დაკავშირებით წარმოდგენილია სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს დადებითი რეკომენდაცია. ასევე მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებლად მიიჩნევს მიწის ნაკვეთის განკარგვას შემდგომში ეკლესიის მშენებლობის მიზნით, არსებული მწვანე ნარგავების შენარჩუნების პირობით. სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ განხორციელდა 01.12.02.015.118 საკადასტრო ერთეულის გამიჯვნა და სსიპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისათვის საკუთრებაში გადასაცემი 1000 კვ.მ მიწის ნაკვეთი დარეგისტრირდა №01.12.02.015.120 საკადასტრო კოდით. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის გადაწყვეტილებით (2019 წლის 13 მარტი №19.262.381 განკარგულება) ქალაქ თბილისში, თემქის დასახლების XბI კვარტალის მიმდებარედ არსებული 1000 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.12.02.015.120) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სსიპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის საკუთრებაში გადაცემის საკითხი და შესაბამისი ხელშეკრულების პირობები წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში თანხმობის მიღების მიზნით. საპრივატიზებო პირობებად განისაზღვრა გადასაცემ მიწის ნაკვეთზე ეკლესიის მშენებლობა და არსებული მწვანე ნარგავების შენარჩუნება. უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურად განისაზღვრა სიმბოლური ფასი - 1 ლარის ოდენობით, რომლის გადახდა უნდა განხორციელდეს შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

კომისიამ განიხილა წარმოდგენილი საკითხი და კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა თანხმობით მიიღო გადაწყვეტილება, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი განხილულ იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

24. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N01.18.03.033.012; N01.18.03.033.010; N01.18.03.015.016; N01.18.03.015.019; N01.18.03.015.014 და N01.18.03.033.011 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული უძრავი ქონების საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი

ეკლესიისთვის (ს/ნ:204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების შესახებ (საკრებულოს №12-031908643-03 27.03.2019)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა ქალბატონმა ნინო კვეტენაძემ.

კომისიამ იმსჯელა მასზედ , რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას განახორციელოს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიისთვის (ს/კ: 204395537) ქვემოთ ჩამოთვლილი უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად, 1 (ერთი) ლარად პრივატიზება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 21 მარტის N19.325.430 განკარგულების დანართით გათვალისწინებული ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად: ა) ქალაქი თბილისი, მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპირო, საპატრიარქოს მიმდებარედ 422 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: N01.18.03.033.012); ბ) ქალაქი თბილისი, საპატრიარქოს მიმდებარედ, ფერდობი N2-ზე არსებული 75 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: N01.18.03.033.010); გ) ქალაქი თბილისი, ანჩისხატის ეკლესიის მიმდებარედ არსებული 49 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: N01.18.03.015.016); დ) ქალაქი თბილისი, ანჩისხატის ეკლესიის მიმდებარედ არსებული 24 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: N01.18.03.015.019); ე) ქალაქი თბილისი, ანჩისხატის ეკლესიის მიმდებარედ არსებული 38 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: N01.18.03.015.014); ვ) ქალაქი თბილისი, მტკვრის მარჯვენა სანაპირო, საპატრიარქოს მიმდებარედ არსებული 242 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: N01.18.03.033.011) საკითხი პრობლემურად იქნა მიჩნეული და აღნიშნულის გათვალისწინებით მისი განხილვა გადადებულ იქნა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისია მიზანშეწონილად თვლის ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი (საქმე№12-031908643-03.27.03.2019წ) განკარგულების პროექტები გამოთქმული შენიშვნებით გატანილ იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განსახილველად.

25. ქალაქ თბილისში, ვარკეთილი-3-ის დასახლების IV მიკრორაიონის კორპუსი 1416-ში (საკადასტრო კოდი: 101.19.39.002.017.01.017) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-03190787-03 19.03.2019)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენლემა ქალბატონმა ნინო კვეტენაძემ. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების მართვის სააგენტოს შუამდგომლობით მიმართა სამგორის რაიონის გამგეობამ ნინო პაპუნაშვილისთვის ქალაქ თბილისში, ვარკეთილი-3-ის დასახლების IV მიკრორაიონის კორპუს N416-ში (საკადასტრო

კოდი:N01.19.39.002.017.01.017) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზეს - 1 ლარად გადაცემაზე. სამგორის რაიონის გამგეობის ინფორმაციით, ნინო პაპუნაშვილი აღნიშნულ მისამართზე ცხოვრობს 1993 წლიდან. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა 2019 წლის 13 მარტის მთავრობის N19.277.346 განკარგულებით მიზანშეწონილად მიიჩნევს ქალაქ თბილისში, ვარკეთილი-3-ის დასახლების IV მიკრორაიონის კორპუს N416-ში, მე-9 სართულზე, 74.95 კვ.მ (საკადასტრო კოდი:N01.19.39.002.017.01.017) ფართის N17- ის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებას და საკითხი წარმოდგენილია საკრებულოში თანხმობის მისაღებად

კომისიამ განიხილა წარმოდგენილი საკითხი და კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა თანხმობით მიიღო გადაწყვეტილება, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი განხილულ იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

26. ქ. თბილისში, ხუდადოვის ქუჩა 1173, კორპუსი 14-ში (საკადასტრო კოდი: 101.16.09.001.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-0318362107-03 31.12.2018; №12-03190787-03 19.03.2019)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა ქალბატონმა ნინო კვეტენაძემ. მისი თქმით, ქ. თბილისში, ხუდადოვის ქუჩა N173, კორპუს N4-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.09.001.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 12 დეკემბრის N18.999.1433 განკარგულებაში შედის ცვლილება და განკარგულების დანართ N1-ის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ფიზიკური პირი ვეფხვია ონანოვთან (პ/ნ 01030018671) ერთად ფართის თანამესაკუთრეებად - სართული 1 – 54,60 კვ.მ ს/კ 01.16.09.001.004.01.510 განისაზღვრება მისი ოჯახის ყველა წევრი (ნინო ონანოვი (პ/ნ 01005033026), მარიანა მაისურაძე (პ/ნ 01030018670), მინდია ონანოვი (პ/ნ 01005033153) და გიორგი ონანოვი (პ/ნ 01030049385).

კომისიამ განიხილა წარმოდგენილი საკითხი და კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა თანხმობით მიიღო გადაწყვეტილება, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი განხილულ იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

27. „ქ.თბილისში, ჭავჭავაძის ჩიხი 137-ის მიმდებარედ/ჭავჭავაძის ჩიხი 137-ში მდებარე გარკვეული უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: 101.14.14.005.163) ააიპ - ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი „მწვანე სახლისთვის" (ს/კ: 1205270570) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით გადაცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მთავრობის 2014 წლის 5 მარტის 107.54.295 დადგენილებით განსაზღვრული საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულების დარღვევისათვის დაკისრებული

პირგასამტეხლოსგან გათავისუფლების თაობაზე (საკრებულოს №12-0319066167-03 07.03.2019)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა ქალბატონმა ნინო კვეტენაძემ. მისი თქმით, ააიპ ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი-„მწვანე სახლს" 2014 წელს 10 წლიანი იჯარით გადაეცა თვითმმართველის ბალანსზე რიცხული ქ. თბილისში, ჭავჭავაძის ჩიხი N37-ის მიმდებარედ/ჭავჭავაძის ჩიხი N37-ში მდებარე გარკვეული უძრავი ქონება. 2015 წლიდან ააიპ ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი-„მწვანე სახლს" შეექმნა იჯარის გადახდის პრობლემა, რაც გახდა ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი სსიპ-ქონების მართვის სააგენტოს მიერ და ორგანიზაციას დაეკისრა პირგასამტეხლო, გადაუხდელი საიჯარო ქირის ოდენობის 0,1%-9328 ლარის ოდენობით. ვინაიდან ააიპ „ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი-მწვანე სახლი" ფუნქციონირებს 2006 წლიდან და ემსახურება მცირეწლოვან ბავშვებს, მოზარდებს და მათ მშობლებს, რომლებსაც აწუხებს სხვადასხვა სირთულის პრობლემები, ფსიქო-ემოციური დარღვევები, ფობიები, უძილობა და სხვა. ქ. თბილისის მთავრობის 2019 წლის 28 თებერვლის N19.227.294 განკარგულებით თანხმობა მიეცა ქ. თბილისში, ჭავჭავაძის ჩიხი N37-ის მიმდებარედ/ ჭავჭავაძის ჩიხი N37-ში მდებარე გარკვეული უძრავი ქონების ააიპ „ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი-მწვანე სახლისთვის" პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით გადაცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მთვარობის 2014 წლის 5 მარტის N07.54.295 დადგენილებით განსაზღვრული საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან განთავისუფლებას და საკითხი წარმოდგენილია საკრებულოში თანხმობის მისაღებად.

კომისიამ განიხილა წარმოდგენილი საკითხი და კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა თანხმობით მიიღო გადაწყვეტილება, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი განხილულ იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

28. 2010 წლის 20 ივლისის იჯარის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით ნაკისრი ვალდებულებების 2015 წლის 26 იანვრიდან 2017 წლის 28 თებერვლამდე შეუსრულებლობისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან ნანული ჭიაურელის (პ/ნ: 01024043431) გათავისუფლების თაობაზე (საკრებულოს №12-0319066166-03 07.03.2019)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა ქალბატონმა ნინო კვეტენაძემ. მისი თქმით, 2010 წლის 20 ივლისს, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და მოქალაქე ნანული ჭიაურელს შორის გაფორმდა იჯარის ხელშეკრულება, რომლითაც მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 4 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №01.10.14.031.046) 14 წლის ვადით, კიბის უჯრედის მოწყობის მიზნით გადაეცა ნანული ჭიაურელს. იჯარის წლიური ღირებულება განისაზღვრა 100 (ასი) ლარის ოდენობით. ხელშეკრულებით

განსაზღვრული პირობების (ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.1 და 2.1 პუნქტები) შეუსრულებლობისთვის მოიჯარე ნანული ჭიაურელს 2015 წლის 25 იანვრიდან 2017 წლის 28 თებერვლამდე პერიოდისთვის, დაერიცხა პირგასამტეხლო 764 (შვიდას სამოცდაოთხი) ლარის ოდენობით. 2019 წლის 21 თებერვლის №19.194.226 განკარგულების თანახმად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიიღო გადაწყვიტილება მოქალაქე ნანული ჭიაურელის პირგასამტეხლოსგან გათავისუფლების შესახებ. შესაბამისად საკითხი წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში თანხმობის მიღების მიზნით.

კომისიამ განიხილა წარმოდგენილი საკითხი და კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა თანხმობით მიიღო გადაწყვეტილება, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი განხილულ იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

29. ,,ქ. თბილისში, მიცკევიჩისა და პეკინის ქუჩების გადაკვეთაზე, 2812 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.14.030.054) და ქ. თბილისში, მიცკევიჩის ქუჩა, გამყოფ ზოლზე მდებარე 188 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.14.030.034) შპს „ი.დ.ლ"-ისთვის (ს/კ: 404497399) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 7 ნოემბრის N 424 განკარგულებაში ცვლილების შეტანისა და აღნაგობის პირობების დარღვევის გამო შპს ,,კასს პარკინგი''-სთვის (ს/ნ 404497399) დაკისრებული პირგასამტეხლოს პატიების თაობაზე (საკრებულოს №12-0319085146-03 26.03.2019)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა ქალბატონმა ნინო კვეტენაძემ. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 7 ნოემბრის N424 განკარგულებით, შპს „ი.დ.ლ"-ს 49 წლიანი აღნაგობის ფორმით (აღნაგობის წლიური საზღაური 1000 ლარი) გადაეცა, ქ. თბილისში, მიცკევიჩისა და პეკინის ქუჩების გადაკვეთაზე, 2812 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №01.10.14.030.054) და ქ. თბილისში, მიცკევიჩის ქუჩა, გამყოფ ზოლზე მდებარე 188 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №01.10.14.030.034), სადაც უნდა მოეწყო 150 მანქანაზე გათვლილი მიწისქვეშა პარკინგი და განეთავსებინა სავაჭრო ობიექტი არაუმეტეს სრული ფართის 30% -ისა. კომპანიას მშენებლობის ნებართვის მისაღებად ყველა დოკუმენტაცია უნდა წარედგინა 6 თვის ვადაში და ნებართვის მიღებიდან 18 თვეში დაესრულებინა მშენებლობა. შპს „კას პარკინგ"-მა 2019 წლის იანვარში განცხადებით მიმართა სსიპ-ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა ხელშეკრულებაში ცვლილება. კომპანია ითხოვს პროექტის შეთანხმების ვადის განსაზღვრას 2019 წლის 31 დეკემბრამდე. მათი განცხადებით დოკუმენტაციის მომზადება შეუფერხდათ, რის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად ასახელებენ ტერიტორიის გამოკვლევისა და შესწავლის შედეგად, მიწისქვეშა კომუნიკაციებით დატვირთული ქსელის არსებობას. კომპანიამ მოამზადა პროექტის

განსახორციელებლად საჭირო ინვესტიციის სავარაუდო გაანგარიშება, რომელიც ბევრად აღემატება 2017 წლის განკარგულებით განსაზღვრულ ინვესტიციის (2 800 000ლარი) ოდენობას. კომპანია ასევე ითხოვს საპარკინგე ადგილების შემცირებას 150-დან 110 ერთეულამდე, ვინაიდან მათი განცხადებით უწევთ აღნაგობით გადაცემული ტერიტორიის გარკვეული ნაწილის დათმობა, მიწისქვეშა საკომუნიკაციო ქსელის მოწყობისათვის. გარდა ამისა აღნაგობის საზღაურის მოხსნას და პირგასამტეხლოსგან განთავისუფლებას, რადგან გაზრდილია ინვესტიციის მოცულობა ვიდრე ეს დაგეგმილი ჰქონდათ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა 2019 წლის 13 მარტის N19.258.391 განკარგულებით (დანართით განსაზღვრული პირობებით) თანახმაა შევიდეს ცვლილება ,,ქ. თბილისში, მიცკევიჩისა და პეკინის ქუჩების გადაკვეთაზე 2812 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.14.030.054) და ქ.თბილისში, მიცკევიჩის ქუჩა, გამყოფ ზოლზე მდებარე 188 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.14.030.034) შპს „ი.დ.ლ"-ისთვის (ს/კ: 404497399) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 7 ნოემბრის N 424 განკარგულებაში.

კომისიამ იმსჯელა წარმოდგენილ საკითხებთან დაკავშირებით და კომისიის დამსწრე ყველა წევრთა თანხმობით დადებითი რეკომენდაცია მიეცა საკითხების საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

30. **„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში, 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის, უძრავი ქონების დათმობისა და სხვა სახის ფულადი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 5 ივლისის №17-66 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (საკრებულოს №12-03190786- 03 19.03.2019)**

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა ქალბატონმა ნინო კვეტენაძემ. მისი თქმით, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის, უძრავი ქონების დათმობისა და სხვა სახის ფულადი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 5 ივლისის №17-66 დადგენილების შესაბამისად, 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) დახმარება ხორციელდებოდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2015 – 2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული შესაბამისი პროგრამებიდან,თუმცა დაზარალებულ პირთა დახმარება კვლავ მიმდინარეობს და ამ ეტაპზე პროცესი არ დასრულებულა, რადგან კონკრეტულ შემთხვევებში დახმარების გაცემასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება გულისხმობს მოცულობითი დოკუმენტაციის უფლებამოსილი ორგანოებისათვის წარდგენას, მათ შეფასებას,

გარემოებათა გამოკვლევას და გადაწყვეტილებების მიღებას, რაც დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან. ამასთან, ცალკეულ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით, როგორც ფიზიკურ პირთა შორის, ასევე ფიზიკურ პირებსა და მუნიციპალიტეტის ორგანოებს შორის სასამართლოში მიმდინარე ცალკეული დავები დასულდა 2018 წელს და ბიუჯეტში შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული თანხების არასაკმარისმა მოცულობამ შეაფერხა ფულადი დახმარების გაცემის პროცედურები, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში დარჩენილი ვადის სიმცირის გამო ვერ მოხერხდა დადგენილების საფუძველზე ხელშეკრულების გაფორმება, შესაბამისად მიზანშეწონილია დაზარალებულთა დახმარება გაგრძელდეს 2019 წლის 30 დეკემბრამდე.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საკრებულოს დადგენილების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად

31. ე.ს. ამხანაგობა „კრწანისი 21"-ს მიმართ გარკვეული ღონისძიებების გატარების შესახებ (საკრებულოს №12-0319085161-03 26.03.2019)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა ქალბატონმა ნინო კვეტენაძემ. მისი თქმით, წარმოდგენილია საკითხი, ქალაქ თბილისის თვითმმართველ ერთეულსა და ამხანაგობა ,,კრწანისი 21-ის„ წევრებს შორის 2010 წლის 15 ივნისს გაფორმებული „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ" ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.9. პუნქტით გათვალისწინებული პირობების ნაწილობრივ გაუქმების შესახებ. კერძოდ, გაუქმდეს ე.ს. ამხანაგობა „კრწანისი 21"-ის საკუთრებაში არსებული ქ. თბილისში, კრწანისის ქ. #21, შენობა N1-ში (საკადასტრო კოდი: #01.18.06.016.027) მდებარე ბინა N65-ზე (173.9 კვ.მ და საზაფხულო ფართი (ვერანდა) 182.26 კვ.მ) იპოთეკით დატვირთვის ვალდებულება, იმ პირობით, რომ ზემოაღნიშნული უძრავი ქონების განკარგვიდან შემოსული თანხები სრულად იქნება მიმართული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულებისკენ, მათ შორის, სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების შენობის ექსპლუატაციაში მიღებისა და მისი ეზოსთვის გამოყოფილი 400 კვ.მ მიწის ნაკვეთის, ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის უზრუნველსაყოფად.

კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ საკითხებზე და დამსწრე წევრთა უმრავლესობის თანხმობით, დადებითი რეკომენდაცია მისცა აღნიშნული საკითხების განხილვას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

32. ქალაქ თბილისში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი №1-ის მიმდებარედ არსებული 22 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.14.012.036) პირდაპირი განკარგვის წესით არსენ ასათიანისთვის (პ/ნ: 01017001245) იჯარის

ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-0319085142-03 26.03.2019)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის - ს.ს.ი.პ. ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა ქალბატონმა ნინო კვეტენაძემ.

კომისიამ იმსჯელა, ქალაქ თბილისში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი №1-ის მიმდებარედ არსებული 22 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.14.012.036) პირდაპირი განკარგვის წესით არსენ ასათიანისთვის (პ/ნ 01017001245) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის შესახებ „ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 28 თებერვლის N19.235.278 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი №1-ის მიმდებარედ არსებული 22 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.14.012.036) პირდაპირი განკარგვის წესით არსენ ასათიანისთვის (პ/ნ 01017001245) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე, კიბის უჯრედის და პანდუსის მოწყობის მიზნით, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად. საკითხი განიხილულ იქნა კომისიის სხდომაზე და მიიღო დადებითი შეფასება. აღნიშნულის გათვალისწინებით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისია (ოქმი №43. 29.03.2019წ) მიზანშეწონილად მიიჩნევს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი (საქმე №12-0319085142-03 26.03.2019წ) განკარგულების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ რევაზ სოხაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე რევაზ სოხაძე